**„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 27.12.2019, სარეგისტრაციო კოდი: 300280000.05.001.019734) დაემატოს შემდეგი შინაარსის $167^2$ მუხლი:

**„მუხლი $167^2$. ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების გაანგარიშების/დადგენის წესი იმ რეგულირებული ელექტროსადგურებისთვის, რომლებიც ელექტროენერგიის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიწოდებას ახორციელებენ**

ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების გაანგარიშების/დადგენის დროს არ იქნეს გათვალისწინებული ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ წარმოებული და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა (კვტ.სთ) სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი** **მიხეილ ყაველაშვილი**

**თბილისი,**

**20 თებერვალი 2025 წ.**

**N325-IIმს-XIმპ**